



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №1გ/1234

05 დეკემბერი, 2014 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა
ქეთევან მინდიაშვილის მდივნობით,

პროკურორის - ივანე ჩიტაშვილის
ადვოკატების: ნ. კ.-ს, ვ. თ.-ს
ბრალდებულის - ნ. კ.-ს

მონაწილეობით, ზეპირი მოსმენით განვიხილე პროკურორ ივანე ჩიტაშვილის საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2014 წლის 01 დეკემბრის განჩინებაზე, ბრალდებულ ნ. კ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით,-

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :
აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

საქართველოს შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილება იძიებს სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმეს ნ. კ.-ს მიმართ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, დიდი ოდენობით.

აღნიშნულ საქმეზე, 2014 წლის 05 ნოემბერს, ნ. კ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

2014 წლის 01 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა ივანე ჩიტაშვილმა და ითხოვა ბრალდებულ ნ. კ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სიხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2014 წლის 01 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულ **ნ. კ.-ს** მიმართ არ იქნა გამოყენებული არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება.

განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა ივანე ჩიტაშვილმა, რომელიც ითხოვს მის გაუქმებას და ბრალდებულ **ნ. კ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

საჩივარში აღნიშნულია, რომ განჩინება დაუსაბუთებელია, რადგან მოსამართლემ სათანადოდ არ შეაფასა შუამდგომლობით მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები. **ნ. კ.-ს** ბრალად ედება თაღლითობის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. აღნიშნული დანაშაულისთვის გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი, რაც ქმნის ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს. ბრალდებულს არაერთხელ აქვს დატოვებული საქართველოს ტერიტორია. მას საზღვარგარეთ აქვს საქმიანი კავშირები, რაც მისცემს შესაძლებლობას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დატოვოს საქართველო და მიიმალოს. მიმალვის საფრთხეს ზრდის ის გარემოებაც, რომ მსჯავრდების შემთხვევაში, ბრალდებულს შესაძლოა დაეკისროს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დიდი ოდენობით ზიანის ანაზღაურების სახით. საქმეზე არაა დაკითხული მოწმეთა ნაწილი, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფი **ა. მ.**, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მოწმეს, არსებობს მათზე ზემოქმედებისა და ამ გზით მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის საფრთხე. სასამართლომ არ გაითვალისწინა დანაშაულის ჩადენის ინტელექტუალური ფორმა, ხერხი და კავშირი როგორც ბრალდებულსა და დაზარალებულებს შორის, ასევე ბრალდებულსა და მოწმეებს შორის. სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ბრალდებულს საქართველოში გააჩნია უძრავი და მოძრავი ქონება. შესაბამისად, გირაოს თანხის ოდენობა ადეკვატურია ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის და დანაშაულის სიმძიმის (იხ. საჩივარი).

პროკურორმა **ივანე ჩიტაშვილმა** ზეპირი მოსმენით განხილვის დროსაც მხარი დაუჭირა საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება (იხ. სხდომის ოქმი).

სასამართლო სხდომაზე ბრალდებული **ნ. კ.** და მისი ადვოკატები არ დაეთანხმნენ პროკურორის საჩივარს და ითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2014 წლის 01 დეკემბრის განჩინების უცვლელად დატოვება. ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე ახალი გარემოება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. მოსამართლემ მიიღო სამაგალითო გადაწყვეტილება, რადგან გაითვალისწინა, რომ არც მიმალვის და არც მოწმეებზე ზემოქმედების მოხდენის საფრთხე არ არსებობს. ბრალდებული არის წარმატებული ბიზნესმენი, აქტიური ურთიერთობები აქვს უცხოელ ინვესტორებთან და მისი მონაწილეობით ქვეყანაში შემოდის მილიონობით ინვესტიცია. უცხოეთში ის პერიოდულად მგზავრობს როგორც საკუთარი, ისე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ამჟამად ე.წ. „დაზარალებულების“ მიმართ პროკურატურაში შეტანილია ცალკე საჩივარი მათი დანაშაულის გამოსაძიებლად. ბრალდებულმა განაცხადა, რომ სადაო ფაქტის შემდეგ გასულია ოთხი წელი და საეჭვოა, რატომ გაუჩნდათ დაზარალებულებს პრეტენზიები მხოლოდ ახლა. ის მესამედ დასახელდა საქართველოში ბიზნეს-ლედად, ორი სასამართლო პროცესი მოიგო სამოქალაქო წესით სადაო თანხებთან დაკავშირებით, ამჟამად არის **ს. ზ.-ს** გენერალური დირექტორი, არსად მიმალვას და მოწმეებზე ზემოქმედებას არ აპირებს (იხ. სხდომის ოქმი).

სასამართლომ განიხილა საჩივარი, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გააანალიზა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდებულ ნ. კ.-ს აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული და ბრალდების დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებები ერთობლიობაში იძლევა დასაბუთებულ ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია ნ. კ.-ს ჩადენილი ჰქონდეს თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც გამოიწვია დიდი ოდენობით ზიანი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

წარმოდგენილი მასალებით და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე საჩივრის ზეპირი განხილვით ირკვევა, რომ ბრალდებულ ნ. კ.-ს მიმართ ბრალდების წარდგენის, აგრეთვე, მტკიცებულებათა მოპოვებისა და სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელების დროს არსებითი ხასიათის ისეთ საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ქონია, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესახებ, არ გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნებიდან და არ არის თანხვედრაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძვლებთან.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის შიში არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მიმალვის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს. მოცემულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს დაახლოებით რვა თვის განმავლობაში, ბრალდების დადგენილებაში მითითებული მოწმეების უმეტესობა დაკითხულია და ბრალდებულის მხრიდან რომელიმე მათგანზე ზემოქმედება ან იძულება არ მომხდარა. დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის მიმდინარეობს სამოქალაქო დავა და დასაბუთებული ვარაუდის მინიმალური სტანდარტი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიება (იხ. განჩინება).

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნულ არგუმენტებს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია არ ეთანხმება და მიაჩნია, რომ ნ. კ.-ს ბრალდებასთან დაკავშირებით არსებობს როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ისე ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალევა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ამასთან, აღნიშნული საფუძვლების არსებობა ერთნაირად სავალდებულოა ყველა სახის აღკვეთის ღონისძიებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულ ნ. კ.-ს მხრიდან აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვამდე ადგილი არ ჰქონია მიმალვის მცდელობას, მტკიცებულებათა განადგურების თაობაზე პირდაპირი საშუალებების არსებობას, კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ იგი მომავალშიც არ დაარღვევს რომელიმე ამ პირობას და რაიმე შემაკავებელი ღონისძიების გამოყენების საჭიროება არ არსებობს, მოკლებულია საფუძველს. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია დაზარალებულთა განცხადებებსა და ჩვენებებში გაკეთებული მინიშნებები მათზე ზემოქმედების განხორციელების შესახებ, რაზეც ქვემოთ შევჩერდებით, აგრეთვე, საქმის ფაქტობრივი და არსებითი ხასიათის სხვა გარემოებები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ გარკვეული რისკები ამ მხრივ მაინც შენარჩუნებულია.

კოლეგიის აზრით, ბოლომდე იმის გამორიცხვა, რომ ბრალდებულის მხრიდან სამომავლოდ საერთოდ არ იქნება ადგილი რაიმე დარღვევასაც კი, არ იქნება გამართლებული.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტადიაზე, სასამართლომ უნდა ისარგებლოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით და არა ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის ანუ გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სტანდარტით. დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს კი შეიძლება იძლეოდეს ის საკმარისი მონაცემები, რაც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს. ასეთი საკმარისი მონაცემებია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ახასიათებს სავარაუდო დანაშაულს, ქმედების ხასიათს, სპეციფიკას, ჩადენის ხერხს და მიანიშნებს ბრალდებულის შესაძლო მიმალვის ან მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის შესახებ. კერძოდ, ბრალდება ეხება დიდი ოდენობით თანხის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ვარაუდს. ბრალდების თანახმად, რაც აგებულია საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე (დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებები, ხელშეკრულებები, ხელწერილები, ექსპერტიზის დასკვნები, საბანკო ანგარიშსწორების დოკუმენტები და სხვ.) დაყრდნობით, **ნ. კ.-ს** მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ხერხად გამოყენებულია დაზარალებულთა მოტყუების გზით შედგენილი წერილობითი დოკუმენტები. ბრალდებული ამჟამად ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ დოკუმენტებში დაფიქსირებული ფაქტები შეესაბამება რეალობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც სავარაუდო დანაშაული ჩადენილია ბრალდებულის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენებით, დაზარალებულის შეგნებულად შეცდომაში შეყვანის უნარის რეალიზებით, არ არის გამორიცხებული, რომ სათანადო შემაკავებელი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, ბრალდებულმა კვლავ გამოიყენოს ეს შესაძლებლობები და უნარები.

მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლის საფრთხე შეიძლება გამოიხატოს პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების განხორციელებაში მისი სხვადასხვა ფორმით გამოვლინების გზით. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის პირობებში, ბრალდებულს აქვს სრული შესაძლებლობა თავისუფლად გადაადგილდეს საზღვარგარეთ, შეხვდეს იქ მყოფ საქმის ფიგურანტებს, ვისაც შეხება აქვს გამოსაძიებელ დანაშაულთან და მათთან ერთად შეიმუშაოს საერთო პოზიცია მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. ბრალდებულს გააჩნია საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები იმისთვის, რომ მოისყიდოს ან სხვაგვარად მატერიალურად დააინტერესოს მოწმეები და დაზარალებულები ან გასცეს ასეთი დაპირებები და შეაგულიანოს სამომავლო სარგებლის პერსპექტივით. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან, კერძოდ, დაზარალებულთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ბრალდებული დაემუქრა მათ გავლენიანი პირების მეშვეობით პრობლემების შექმნით, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთით, თუ ისინი შეეცდებოდნენ მასთან ურთიერთობის გარკვევას სამართლებრივი გზებით. დაზარალებულთა ჩვენებების მიხედვით, სწორედ ამ მუქარამ განაპირობა ის გარემოება, რომ მათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს სავარაუდოდ მომხდარი უკანონობის გამოსაძიებლად და მხოლოდ მას შემდეგ ამხილეს ბრალდებული თაღლითობაში, როცა დარწმუნდნენ, რომ სიმართლის დამტკიცების უფრო მეტი შანსი ქონდათ. კოლეგია აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხებული, ბრალდებულის ან მის ინტერესებში მოქმედი სხვა პირების მიერ, კვლავ განხორციელდეს მუქარა როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდების დადგენილებაში მოხსენიებული მოწმეების ან პერსპექტივაში მოწმედ დასაკითხი პირების მიმართ. ასეთ პირობებში, ბრალდებულის მიერ მოწმეებსა და დაზარალებულებზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობის კატეგორიულად გამორიცხვა და იმის მტკიცება, რომ ამის მცირეოდენი საფუძველიც კი არ არსებობს, საგამოძიებო კოლეგიას უსაფუძველოდ მიაჩნია.

მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას, პროკურორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ვარაუდი არ ეფუძნება მხოლოდდამხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშს. ბრალდების მხარის წარმომადგენელმა საჩივრის ზეპირი მოსმენით

განხილვისას, აღნიშნული არგუმენტის გარდა, დამატებით მიუთითა ისეთ გარემოებებზე, როგორც არის ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ და დიდი ოდენობით ზიანის ანაზღაურების სავარაუდო ვალდებულების წარმოშობა ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების დადასტურების შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პროკურორის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიში (ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 6-დან 9 წლამდე), ბრალდებულის აქტიური კავშირები საზღვარგარეთ, ფინანსური შესაძლებლობა, რომ ქვეყნის დატოვების შემთხვევაში, შეიქმნას სათანადო საარსებო პირობები და მიყენებული ზიანის სოლიდური მასშტაბი (156 372 აშშ დოლარი, რაც ამ ეტაპზე ბრალდებითაა გათვალისწინებული), ერთიანობაში მართლაც რელევანტურია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად. აღნიშნული მიდგომა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაზე უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენების საფუძველი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია მითითებული. მსგავსი პრაქტიკით მიდის საქართველოს სასამართლოც, თუმცა, არის პატიმრობის გამოყენების შემთხვევებიც. მოცემულ შემთხვევაში, პროკურორმა იშუამდგომლა გირაოს შეფარდება, როგორც გარკვეული პრევენციული ღონისძიება ბრალდებულის მიმალვის და მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ ყოველივე დასახელებულის ფონზე, მიმალვის რისკის მთლიანად გამორიცხვა მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბრალდებული აქამდე ცხადდებოდა გამოძიებაში, გამოცხადდა სასამართლოშიც და ამის გამო არც მომავალში აარიდებს თავს მართლმსაჯულებას, უსაფუძვლო თვითიმედოვნებაა. ასეთ შემთხვევაში, კოლეგია სვამს ლოგიკურ კითხვას - და თუ ბრალდებულმა ნაკლები პროცენტით, მაგრამ მაინც აარიდა თავი გამოძიებას და სასამართლოს, მაშინ რა ქნას სამართალწარმოების ორგანომ? ნუთუ მას არ უნდა გააჩნდეს თუნდაც მცირედი სამართლებრივი ბერკეტი ბრალდებულის სათანადო ქცევის წინასწარ უზრუნველსაყოფად და გულუბრყვილოდ იყოს დამოკიდებული ბრალდებულის კეთილ ნებაზე? რა თქმა უნდა არა. პროკურორმა ითხოვა მხოლოდდამხოლოდ გირაო, ისიც იმ ოდენობით, რაც როგორც საჩივრის ზეპირი მოსმენით გაირკვა, დიდად მტკიცებული არ იქნება ბრალდებულისთვის მისი ქონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაგრამ გირაოს პირობების ან კანონის დარღვევის შიში აიძულებს მას კანონისმიერ ქცევას დაუქვემდებაროს თავისი ქმედებები, რათა მომავალში თავიდან აიცილოს დარღვევით მოსალოდნელი აღკვეთის ღონისძიების გამკაცრება. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების მე-2 გვერდის ბოლო სტრიქონში ვკითხულობთ, რომ მიმალვის საფრთხე არსებობს ნაკლები ხარისხით. ამით სასამართლო წინააღმდეგობაში მოდის თავის მსჯელობასთან, თითქოს მიმალვის საფრთხე საერთოდ არ არსებობს. მაშასადამე, თუ მიმალვის საფრთხე არსებობს თუნდაც ნაკლები ხარისხით, ე.ი. საჭიროა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაც.

რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილს, სადაც ბრალდებულსა და დაზარალებულებს შორის მიმდინარე სამოქალაქო დავაზეა საუბარი, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, მოცემულ შემთხვევაში, საკითხი ეხება სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველს და სხვადასხვა დავის საგანს, რაც გავლენას ვერ იქონიებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაში წერია: „სასამართლო აღნიშნავს, რომ დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის მიმდინარეობს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავა სწორედ გამოძიების მიერ ინკრიმინირებულ ქმედებასთან დაკავშირებით და დასაბუთებული ვარაუდის მინიმალური სტანდარტი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნას რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიება, თუმცა არსებულ სს საქმეზე გამოძიების გაგრძელება სისხლის სამართლის პროცესით დადგენილი წესით წარმოადგენს ბრალდების მხარის უფლებამოსილებას.“ აღნიშნულთან დაკავშირებით, საგამოძიებო კოლეგია სამართლებრივ ლოგიკას ვერ ხედავს, რადგან გამოდის, რომ მაშინ ბრალდების დადგენილებაც არ უნდა გამოეტანა პროკურორს, რაც წინააღმდეგობაშია იმავე განჩინებასთან, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი სახეზე იყო. კოლეგია განმარტავს, რომ ერთიდაიგივე დავის

არსებობის შემთხვევაშიც კი, მოქმედი სისხლის და სამოქალაქო საპროცესო ნორმების შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება მიჩნეული პრეიუდიციად (გამოკვლევის გარეშე მტკიცებულების ძალის მქონე დოკუმენტურ მტკიცებულებად) სისხლის სამართლის საქმეზე და პირიქით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი არ ათავისუფლებს პირს მტკიცებულებების წარდგენისგან სამოქალაქო დავის დროს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გამარტივებულ წარმოებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁶-309¹⁷ მუხლები). ამიტომ, გაუგებარია, სამოქალაქო დავის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტაზე აპელირების დროს (ისიც იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოს არ მიუღია), რას ეფუძნება ამ კონტექსტში დაცვის მხარის მტკიცება დანაშაულის არარსებობის თაობაზე ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობით რატომ არ მოიპოვება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მინიმალური სტანდარტი.

მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი ერთ-ერთი გასათვალისწინებელი გარემოებაა აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი ამ გარემოებას მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ბრალდებულის პიროვნებასთან, მის საქმიანობასთან, ასაკთან, ჯანმრთელობასთან, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასთან და ადრე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტთან ერთად. მოცემულ შემთხვევაში, არც მიყენებული ზიანის ანაზღაურების და არც მის ანაზღაურებაზე მზაობის ფაქტი ბრალდებულის მხრიდან არ დაფიქსირებულა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს გარემოებაც ერთ-ერთია მათ შორის, რაც მოცემულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას განაპირობებს.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმებისა და მისი გამოყენების საჭიროების დადასტურების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე, კერძოდ, იმაზე თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს. აღკვეთის ღონისძიების მიზნების - რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება - განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა აღკვეთის ღონისძიებებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო ადექვატური და საკმარისი ღონისძიება.

ამ ეტაპზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ბრალდებულ **ნ.კ.-ს** სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად, საგამოძიებო კოლეგია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ პროკურორმა იშუამდგომლა სწორედ გირაოს შეფარდებაზე. არც სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის და არც საჩივრის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის დროს, დაცვის მხარეს პირადი თავდებობა არ მოუთხოვია. იმის გამო, რომ ბრალდებული არ არის არასრულწლოვანი, სამხედრო მოსამსახურე და ბრალდებით გათვალისწინებული ქმედება განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გამოიყენოს სხვა რომელიმე აღკვეთის ღონისძიება გირაოს გარდა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. მისი ოდენობა არ შეიძლება იყოს 1 000 ლარზე ნაკლები. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან და საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის დროს

მხარეთა მიერ გაკეთებული განმარტებებიდან ირკვევა, ბრალდებულს გააჩნია რამდენიმე უძრავი ქონება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირაოს უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ბრალდებულმა განაცხადა, რომ მისი ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ ს. ბ.-დან შეადგენს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათას) ლარს. საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ გირაოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა არის აუცილებელი ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად და არა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლო პასუხისმგებლობა სამომავლო კომპენსაციისთვის. პროკურორი ითხოვს ბრალდებულისთვის გირაოს სახით 10 000 (ათი ათასი) ლარის შეფარდებას და მის გადასახდელად 14 დღის განსაზღვრას, რაც სასამართლოს აზრით, სავსებით შეესაბამება ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის სიმძიმეს და ბრალდებულის ქონებრივ შესაძლებლობას. დასახელებული გარემოებების ერთობლიობაში გათვალისწინებით, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ **ნ. კ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას და ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებასა და სასამართლოში საქმის წარმოებისას, სავსებით უზრუნველყოფს გირაოს გამოყენება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

ამდენად, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2014 წლის 01 დეკემბრის განჩინება **ნ. კ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულ უნდა იქნეს გირაო.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 97-98-ე, 198-ე, მე-200 მუხლებით, 207-ე მუხლის მე-5-8 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ ივანე ჩიტაშვილის **საჩივარი დაკმაყოფილდეს;**

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2014 წლის 01 დეკემბრის განჩინება ბრალდებულ **ნ. კ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის შესახებ;

ბრალდებულ **ნ. კ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს გირაო;

გირაოს თანხად განისაზღვროს **10 000 (ათი ათასი) ლარი;**

გირაოს თანხის გადასახდელად ბრალდებულს განესაზღვროს **14 (თოთხმეტი) დღე;**

გირაოს თანხა შეტანილ იქნეს აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის სადეპოზიტო ანგარიშზე;

გირაოს შემტანის გაფრთხილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგების შესახებ დაევალოს პროკურორს;

ბრალდებულს განემარტოს, რომ თუ დადგენილ ვადაში არ უზრუნველყოფს გირაოს თანხის სრული მოცულობით შეტანას ან ეკვივალენტური უძრავი ქონებით უზრუნველყოფას, პროკურორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით;

ბრალდებულს განემარტოს, რომ გირაოს გამოყენების პირობის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

ბრალდებულს ასევე განემარტოს, რომ მის მიერ ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების გათვალისწინებით, შესაძლებელია გირაოს ოდენობის შემცირება პროკურორის შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში, ხოლო გირაოს შემტანისთვის გირაოს თანხის სრულად დაბრუნება შესაძლებელია განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, თუ ბრალდებული ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით;

განჩინება შესასრულებლად და ცნობისათვის გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

გელა ბადრიაშვილი